

ქეთევან ჭიაბრიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ნინო ჭიაბრიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიდერობა და მენეჯმენტი

ტერმინებს „ლიდერობა“ და „მენეჯმენტი“ ადამიანები სხვადასხვანაირად განიხილავენ. ზოგიერთები ამ ორ ტერმინებს სინონიმებად მიიჩნევენ და ხშირად მათ ურთიერთშემცვლელად იყენებენ ფრაზებში და წინადადებებში. სხვები მათ ისე უდგებიან, როგორც აბსოლუტურად საწინააღმდეგო ტერმინებს. იმდენად საწინააღმდეგო რამაც გონიათ, რომ მათი აზრით არ შეიძლება ერთდროულად კარგი მენეჯერიც იყოს ადამიანი და კარგი ლიდერიც. ზოგიერთები კი სადღაც შუაში დგანან და ფიქრობენ, რომ მართალია არსებობს განსხვავება ლიდერობასა და მენეჯმენტს შორის, მაგრამ კარგი ცოდნის შედეგად ადამიანი ორივეს წარმატებით შეიძლება გაუძღვეს ერთი და იმავე პოზიციიდან.

დღევანდელ ჯგუფებს, ორგანიზაციებსა და სამუშაო სტრუქტურებს წარმატებული ოპერაციებისთვის სჭირდებათ ორივე - ეფექტური ლიდერებიც და ეფექტური მენეჯერებიც. ლიდერობასა და მენეჯმენტს შორის არსებობს თვალსაჩინო მსგავსებები: ორივე გულისხმობს გავლენას საქმესთან დაკავშირებულ მხარეებსა და თანამშრომლებზე; უფლებამოსილებას და ძალაუფლებასაც ორივე პოზიცია იძლევა. მაგრამ ამ მსგავსებებთან ერთად მკვეთრი განსხვავებებიც შეინიშნება, მაგალითად მენეჯმენტი ხშირად უფრო დავალებებზეა ორიენტირებული, ლიდერობა კი ხშირად შთაგონებასთან და შორსმჭვრეტელობასთან ასოცირდება. ჩვენ ლიდერობას და მენეჯმენტს განვიხილავთ როგორც ორ სხვადასხვა ტერმინს და უნარს, თუმცა ვემხრობით აზრს, რომ ერთსა და იმავე ადამიანს წარმატებით შეუძლია თავი გაართვას ორივეს და დაოსტატდეს ორივე სფეროში.

ლიდერობა

სწრაფად რომ განვიხილოთ, ლიდერობის განმარტება არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი გავლენას ახდენს ადამიანების ჯგუფზე საერთო მიზნის მისაღწევად. ლიდერობის სხვა განმარტებებიც არსებობს, მაგრამ თუ ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო დავანაწევრებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ არსებობს სპეციფიკური კომპონენტები, რომლებიც საერთოა და საკვანძოა ამ განმარტებათა უმრავლესობისათვის. ძირითადად ლიდერობა ხასიათდება ასე:

- არის პროცესი
- გულისხმობს გავლენას
- ჩნდება ჯგუფის კონტექსტში (სულ ცოტა ერთი დაკავშირებული მხარე უნდა არსებობდეს)
- გულისხმობს მიზნის მიღწევას

იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ ხდება ლიდერობის ორგანიზება, ეს კომპონენტები გარკვეულ როლს მაინც ასრულებენ გამოყენებულ თეორიასა და პრაქტიკაში.

მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს ლიდერობის ეს მახასიათებლები, როცა გადავალთ მენეჯმენტის ნაწილის განხილვაზე. ლიდერობის რომელი მახასიათებლები შეიძლება აღმოვაჩინოთ კარგ მენეჯერებში?

მენეჯმენტი

აქაც კვლავ განსხვავებებია მენეჯერის განმარტებებში. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანს არ შეიძლება ერთდროულად გააჩნდეს ლიდერის და მენეჯერის პასუხისმგებლობები, მაგრამ მენეჯმენტი მიიჩნევა ლიდერობისგან განსხვავებულ ტერმინად. მენეჯმენტი განიმარტება როგორც ჯგუფის ან ორგანიზაციის აღმასრულებელი, ადმინისტრაციული და სახედამხედველო წარმართვა.